

მინისტრობის კანდიდატთა მეორე ტალღა



დათო გაბოსონია

ახლად არჩეული პარლამენტი 21 ოქტომბერს ქუთაისში შეიკრიბება. მანამდე კი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა მინისტრობის ის კანდიდატები დაასახელა, რომელთა შესარჩევად რამდენიმე დღიან კონსულტაციებს მართავდა. პრეზენტაციაზე ივანიშვილმა მედიას დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების შესახებაც ამცნო. მისი თქმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გაუქმდება - ინფრასტრუქტურის ფუნქციები ეკონომიკის სამინისტროს დაემატება, ხოლო ის ნაწილი, რომელიც რეგიონულ განვითარებას მოიცავს, სამსახურად გადაკეთდება და პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება.

გაბოსონია ბა-3 გვარდია

"მსოფლიოს უკვე შეუძლია ნახოს, რომ საქართველოში არის დემოკრატია"

მარი ახსიაშვილი

საქართველოში იმყოფება ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ერიკ რუბინი, რომელიც გუშინ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილს, თავდაცვის მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ალასანიას, მოქმედი მთავრობის წარმომადგენლებს, დასახელებულ კანდიდატებს და ცენტრალურ საარჩევნო ადმინისტრაციას შეხვდა. დღის ბოლოს კი რუბინმა აშშ-ს საელჩოში პრეს-

კონფერენცია გამართა. შეხვედრების მთავარი თემა საქართველო-ამერიკის ურთიერთობა, სტრატეგიული თანამშრომლობა და ქვეყანაში გამართული საპარლამენტო არჩევნები იყო. ერიკ რუბინის შეფასებით, საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ალბულები აქვს დემოკრატიული კურსი, რომლის განსამტკიცებლად უმნიშვნელოვანესია როგორც საარჩევნო, ისე ამჟამად მიმდინარე პროცესები.

ახსიაშვილი ბა-3 გვარდია

"ჩვენ ვლავარაკობდით ბევრად მეტს, ვიდრე ვისმენდით პრობლემებს"

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან".

პრეზიდენტი ფიქრობს, რომ მათ რამდენიმე პრინციპული საკითხი მხედველობიდან გამორჩათ არა მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დროს, არამედ ბოლო წლების განმავლობაში.

"პირველი არის ის, რომ ჩვენ ვლავარაკობდით ბევრად მეტს, ვიდრე ვისმენდით პრობლემებს. მეორე პრობლემა არის ის, რომ ჩვენ ბევ-

რად მეტად ვიყავით კონცენტრირებული პროგრესზე, ვიდრე არსებულ პრობლემებზე. ჩვენ ძალიან სწრაფი რეფორმები განვახორციელეთ. მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ამ რეფორმებს, რამაც საქართველო რეგიონში სანიმუშო ქვეყნად აქცია, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ბევრად ჩქარა ვაკეთებდით ამ რეფორმებს, ვიდრე საზოგადოება იყო ამისთვის მზად. სამწუხაროდ, ამ რეფორმების შედეგად შეიქმნა შთაბეჭდილება და ნაწილობრივ რეალობაც, რომ რამდენიმე თაობა აღმოჩნდა ამ რეფორმების პროცესის მიღმა. არ

ჩათვალეს თავი ჩართულად ამ რეფორმების პროცესში," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ამ არჩევნებზე გამოჩნდა, რომ საზოგადოებას მოუნდა, გაყოლოდა "რადიკალური გადაწყვეტებს, მათ შორის ძალიან ზოგადსაც".

"ჩვენ ერთი წუთითაც არ ვაპირებთ ხელების ჩამოშვებას. ჩვენ ახლა ვართ ოპოზიციური ჯგუფი, რომელიც უნდა გადავიდეს არა ქვეყნის მიმართ ოპონირებაზე, არამედ კონკრეტული საკითხებისთვის თვალყურის მიდევნებაზე.

გაბოსონია ბა-2 გვარდია

ისრაელის პარლამენტმა თვითდაშლა გამოაცხადა

მთავარი წინასაარჩევნო თემებია: ეკონომიკა, ირანი და პალესტინელები



გუშინ ისრაელის კნესეტმა 8-საათიანი განუწყვეტელი დებატების შემდეგ თვითდაშლის გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. რიგგარეშე საყოველთაო არჩევნები 22 იანვარს დაინიშნა. ცხრა თვით ადრე, ვიდრე ეს ვადით განსაზღვრული იყო. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ჯერ კიდევ წინა სამშაბათს გააკეთა განცხადება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თაობაზე.

გაბოსონია ბა-5 გვარდია

1 აშშ დოლარი	1.6606\$
1 ევრო	2.0826\$
1 ინგლისური გირვანკა	2.6294\$
1 თურქული ლირა	0.9089\$
100 რუსული რუბლი	5.1422\$
თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C
ნავთობი	3.17 +0.04 +1.25%
გაზი	2.79 +0.04 +1.40%
ოქრო	1,689.30 +32.20 +1.91%
ხორბალი	890.50 -12.50 -1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საბავშვო სარადიო-სადანსო

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 77 1987 1912 1001

ჰერმან ჰესესი კიდევ ერთი რომანი ქართულად

ბალა ჩაქარიშვილი

"ზიდჰარტა, ახალგაზრდა მამაკაცი, ტოვებს თავის ოჯახს, რათა იხილოს და შეიცნოს სიცოცხლის ჭეშმარიტება. ყველგან ეძებს მას, მაგრამ ამაოდ. სასონარკვეთილი ზიდჰარტა ყურს უგდებს მდინარის ხმას. მდინარის ბგერებში ნიშანს ამოიკითხავს და ხვდება, რომ ეს ყველაფერი დასაწყისია დიდი სატანჯველის, ცხოვრების უარყოფისა და მისგან განრიდების, რამაც საბოლოოდ სულიერი სიმშვიდე და ჭეშმარიტი თავისუფლება უნდა მოუტანოს. წლების შემდეგ მასში იბადება ჭეშმარიტება და ხვდება, რომ ჭეშმარიტება სიყვარულშია, სამყაროს სიყვარულში," - ასეთ წარდგინებას უკეთებს გამოცემლობა სიესტა ჰერმან ჰესესის რომანს "ზიდჰარტა",

რომელიც გიორგი შატბერაშვილის თარგმანით რამდენიმე დღის წინ გამოიცა.

ჰერმან ჰესესი შემოქმედებას ქართველი მკითხველი იცნობს რომანებში "ტრამა-ლის მგელი", "დამსვენებელი", "დემიანი", "მოხილვა დილის ქვეყნისა", "ნარცისი და გოლდმუნდი". ჰესე ერთ-ერთ კარგად თარგმნილ ავტორთა რიცხვს განეკუთვნება.

"ზიდჰარტა", როგორც მისი მთარგმნელი გიორგი შატბერაშვილი აღნიშნავს, ჰესესს საეტაპო ნაწარმოებია, რომლის შექმნასაც ავტორმა უზარმაზარი ენერჯია შეაღწია. წერის პროცესში მას ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისიც კი დაემართა, ეს მისთვის მსოფლმხედველობის გადაფასების პერიოდი იყო.

გაბოსონია ბა-4 გვარდია

ქართველთა კავშირულასკია მინსკში

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მეორე მარცხი იწვნია. თუ თბილისში ესპანეთთან მინიმალური ანგარიშით

თამაშის წაგების შემდეგ თემურ ქეცბაიას გუნდზე აუცილებელია დასაწყისი, გუშინ მინსკში წაგებულმა თამაშმა საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი დაბადა. შეიძლება ითქ-

ვას, რომ ასე უსუსურად საქართველოს ნაკრებს კარგა ხანია არ უთამაშია.

გაბოსონია ბა-7 გვარდია



დრაგუნის ბოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა

ზადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ტელეკომპანია "იმედი" დაიბრუნა

ტელეკომპანია "იმედი" მფლობელებსა და ზადრი პატარკაციშვილის ოჯახს შორის შეთანხმება შედგა და "იმედი" პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდება. ამის შესახებ პატარკაციშვილის ოჯახის წევრებმა განცხადება გაავრცელეს. "ზადრი პატარკაციშვილის ოჯახი მოხარულია იმით, რომ მაღალხარისხიანი ტელეკომპანია "იმედი" დღევანდელ მფლობელებთან ტელეკომპანიის ოჯახისთვის გადაცემაზე. "იმედი" ოჯახისთვის ვადმოცემის პროცესი დღეს დაიწყო და ჩვენ არ დავიმოუბთოთ ჩალისმევენს, რათა იმედი იყოს მაღალპროფესიული და ობიექტური არსი," - ნათქვამია განცხადებაში. მანამდე კი "იმედი" მფლობელებსა და გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ თანამდებობა დატოვა. არველაძემ ამის შესახებ "იმედის" საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს საგანგებო თათბირზე განუცხადა. გავრცელებული ინფორმაციით, მან თანამშრომლებს უთხრა, რომ "იმედს" ზადრი პატარკაციშვილის ოჯახი დაიბრუნებს და ტელეკომპანიაში დარჩენის შესახებ გადაწყვეტილება თავად ყურნალისტებმა უნდა მიიღონ.

დავით დარჩიაშვილის მოლოდინი

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით პარლამენტში გასული მაჟორიტარების ახალ უმრავლესობაში გადასვლას არ ელოდება. დარჩიაშვილი აღნიშნავს, რომ მაჟორიტარების მხრივ მოსალოდნელია მათი ფორმირება ცალკე ფრაქციებად, რაც საპარლამენტო უმცირესობის ფარგლებში მოხდება.

"ნამდვილად არ ველოდები, რომ მაჟორიტარები, რომლებიც პარლამენტში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით მოხვდნენ, უმცირესობიდან გავლენ. გარდა ამისა, არც ის მგონია, რომ პასუხისმგებლობის მქონე რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის მისაღები უნდა იყოს პოლიტიკურად მერყევი ადამიანები, რომლებიც ერთი პოლიტიკური გუნდიდან მეორეში გადადიან. რასაც ველოდები ის არის, რომ უმცირესობაში იქნება მაჟორიტართა რამდენიმე ფრაქცია, რასაც წმინდა პრაგმატული მნიშვნელობა გააჩნია. ჩვენი სურვილია, რომ როგორც უმცირესობას, შესაძლებლობა გვექონდეს, რეალამენტით მიხიჭებული ყველა საპარლამენტო ბერკეტი გამოვიყენოთ," - განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

დემურ გიორხელიძე: ხუხაშვილი მინისტრების უფროსი ვერასდროს იქნება

ექსპერტი დემურ გიორხელიძე გია ხუხაშვილის იმ განცხადებას, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტის წევრების შერჩევასა და კადრების ნაკლებობას ეხებოდა, პროვოკაციულს უწოდებს. "ფარული თამაშია ასევე, ერთს ამბობდე და მეორეს აკეთებდე. რასაც ხუხაშვილი ამბობდა, საჭიროა, რომ ის ქართულმა საზოგადოებამ არ მოისმინოს. საქართველოში არანაირი კადრების ნაკლებობა არ არის. როდესაც შენ გინდა, საკუთარი გავლენით ისარგებლო, მთავრობის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო, შენი ინტერესებიდან გამომდინარე და შეეცადო, იქ შენი ხალხი გაყვდეს, გავლენა გქონდეს და მმართველის ფუნქცია გარეშად შეასრულო, ამას ჩვენ არ დავუშვებთ, პირადად მე არ დავუშვებ. ხუხაშვილი მინისტრების უფროსი ვერასდროს იქნება," - განაცხადა გიორხელიძემ.

სოფო თოდა

ინტერვიუ ამირან გამყრელიძესთან, როგორც ჯანდაცვის მინისტრთან, რომლის დამტკიცებაშიც ვეგი არავის არ ეპარებოდა, დღევანდელ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. მაგრამ 24 საათში, როგორც ჩანს, სეროზული განმარტებულებების ასევე სეროზული კორექტირება შესაძლებელი. გუშინ გაირკვა, რომ გამყრელიძე ხელმძღვროდ ვერ გახდება ჯანდაცვის მინისტრი და მისი კოორდინაცია ახალ მთავრობასთან მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მრჩეველის სტატუსით შემოიფარგლება. ამ უხერხულობის (რბილად რომ ვთქვათ) განსაზღვრულებლად მოვისმინეთ თავად გამყრელიძის კომენტარები, რომელმაც ძალაუფლებურად 2006 წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე გაგვასახნა: გიორგი ნემსაძემ გამოარჯივა, თუმცა გამარჯვებულად 19 წელს თვის თავზე ვანაცხადა, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნას არ აპირებდა. არადა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანისაგან, რომელიც აქამდე არასდროს არ გაუჭყვინტავს ზურღლედ განცხადებები, ივანიშვილთან შეუთანხმებლად აყალიბდება და ფართო საზოგადოებას წარუდგენდა სამომავლო თეზისებს. აქედან გამომდინარე, ძალაუფლებურად ჩნდება ვეგი, რომ ახალმა მთავრობამ არჩევნების წინ გაცხადებულ დანაპირებს გადახედა და მათი ჩასწორება გადაწყვიტა. "ჩემი ასაკი, ჩემი წარსული, ინტერესთა კონფლიქტი ჩემსა და ჩემს შვილს შორის" - ეს ის მიზეზები, რითაც ბატონმა ამირანმა შეთავაზებულ თანამდებობაზე უარი გაამყარა. არადა, ერთიც, მეორეც და მესამეც მისთვისაც და სხვებისთვისაც, რასაკვირველია, იმთავითვე გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო. უკანასკნელი დავიწყოთ. ღიბს, მისი ვაჟი გახლდათ სადაზღვევო კომპანიის "ლდეივი ბი სი" გენერალური დირექტორი და ეს ფაქტი მართლაც ქმნიდა ვარკვებულ

"ჩვენ ვლავრაკობდით ბევრად მეტს, ვიდრე ვისმინდით პრობლემებს"

პირველი გვერდი

ჩვენ ქვეყნისთვის სასარგებლო მიმართულებით წარმართვის ყველა ბერკეტი უნდა გამოვიყენოთ. ბერკეტი ბუერი ვაჟებს, იმ ვაგებით, რომ პარლამენტში ვართ, ჩვენი ხმა ყოველთვის იქნება მნიშვნელოვანი," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, რაც კარგი იქნება ქვეყნისთვის, ოპონენტებთან ყველაფერში ითანამშრომლებენ. "და რაც იქნება პრობლემატური, არაფერზე თვალს არ დავხუჭავთ. არ არის საიდუმლო, რომ "ვარდების რევოლუციის" ბუერი მონაწილეარ ახლა შეიძლება, დარტყმის ქვეშ აღ-

მოჩნდეს," - დასძინა მიხეილ სააკაშვილმა. გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში, მახინჯიშვილის ქუჩაზე ცვილის ფეგურების მუზეუმი გახსნა. ქვეყნის პირველი პირი მუზეუმში აჭარის მთავრობის ჯერ კიდევ მოქმედ თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძესთან ერთად იმყოფებოდა. სააკაშვილმა მას მანდატის ამოწურვის ბოლო დღემდე მუშაობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება დაავალა. პრეზიდენტის განცხადებით, თუ ახალი მთავრობა ძალიან არ შეეცდება, «ნაციონალური მოძრაობის" მიერ დატოვებული მემკვიდრეობის გაფუჭება შეუძლებელია. მან ახალ მთავრობას უსურვა, რომ ყოფილ ხელისუფლებაზე მეტი გააკეთოს.

"ლევან ვარშალომიძემ ახალი ბათუმი და აჭარა ააშენა. ეს აღარ არის ის ქალაქი, რაც იყო. ეს აბსოლუტურად სხვა ქალაქია და ჩვენ ამით ვამაყობთ. მთავრობის მანდატი რამდენიმე დღეში იწურება და საქართველოს და აჭარას ახალი მთავრობა ეყოლება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ლევანმა აქ აღმშენებლობა გააგრძელოს - გაგრძელოს გზების დაგება, რაც დაწყებულია, გაგრძელებს სოციალური პროგრამები, გაიხსნას შენობები, რომელთა გახსნაც დაცემულია," - აღნიშნა სააკაშვილმა.

ცვილის ფეგურების მუზეუმში განთავსებულია აჭარის ისტორიასთან

დაკავშირებულ პირთა ცვილის სკულპტურები. ამ პერიოდისთვის დამზადებულია 16 სკულპტურა, მათ შორის მედეა და იაზონი, რომელიც ჯარისკაცი, ორი არგონავტი, შენობის პირველი მეპატრონე ბონიათ ოლივი, ასლან აბაშიძე რუს გენერალთან ერთად. ასევე დაცემულია სხვა პირთა ფეგურების დამზადებაც. ცვილის ფეგურების მუზეუმის რეაბილიტაციისთვის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 658.431 ლარი დაინაწილა, მათ შორის - ცვილის ფეგურების დასამზადებლად - 290.400 ლარი, ხოლო დეკორატიული სკანების მოსაწყობად - 219.362 ლარი.

მოხავალი პრემიარი ოფისიალურ წარდგენას ელის

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ მინისტრობის ახალი კანდიდატების დასახელებისას განაცხადა, რომ მისი წარდგენა, შესაძლოა, დღეს მოხდეს. "პრემიერ-მინისტრად ჩემ წარსადაგენად, როგორც ვიცი, პრეზიდენტმა უნდა გააკეთოს განცხადება. დანარჩენი პროცედურები აქვს პარლამენტს. პარლამენტმა ეს პროცედურები უნდა გაიროს და მეგრე ალბათ მოხდება მთავრობის დამტკიცება," - განმარტა ივანიშვილმა.

“საბჭო მოუნოდებს საქართველოს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პოლიტიკურ პარტიებს ტრანზიციის პერიოდში კონსტიტუციული თანამშრომლობის-კენ, რათა უზრუნველყონ სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა, სრული პატივისცემა დემოკრატიულად გამოხატული ხალხის ნებისა და პარლამენტისა და პრეზიდენტის კონსტიტუციურად განსაზღვრული პასუხისმგებლობის მიმართ. საბჭო მიესალმება მხარეებს შორის კონტაქტის დაყვარებას ადრეულ ეტაპებზევე, ყოფილი და მომავალი ადმინისტრაციის წევრების ძალისხმევას, უზრუნველყონ ეფექტური და გამჭვირვალე პოლიტიკური ტრანზიცია,” - ნათქვამია ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს კონსილიუმზე მიღებულ დასკვნაში.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. "ევროკავშირი საქართველოს მხრიდან ელოდება შენთვის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართულობის პოლიტიკის გაგრძელებას, საქართველოს მხრიდან სეპარატისტულ რეჟიმებთან ეფექტური მიდგომის შემუშავებას; გამოთქვამს მზადყოფნას, ჩართული იყოს საქართველოში სტაბილიზაციისა და კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში, შესარულოს საკუთარი მოვალეობა, როგორც თანათავმჯდომარე წევრის მოლაპარაკებებში და უზრუნველყოს იყოს საქართველოში ევროკავშირის

სადამკვირვებლო მისიის სახით. საბჭო მოუნოდებს საქართველოს, განაგრძოს უთო-ს მისიის დაბრუნების მოთხოვნა," - ნათქვამია ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს კონსილიუმზე მიღებულ დასკვნაში. მომავალი პრემიერ-მინისტრის შესახებ განცხადებას ევროკავშირის უმაღლესი კომისარი ქეთრინ ემტონიც აკეთებს. როგორც ემტონის განმარტავს, საქართველოს მონაწილეობა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან უნდა ითანამშრომლოს. ევროკავშირის უმაღლესი კომისრის განცხადებით, ეს თანამშრომლობა საქართველოს მომავლისა და ხალხის კეთილდღეობისთვის არის აუცილებელი. "ახალმა პრემიერმა, რომელსაც მე ვესაუბრე, ხალხის კეთილდღეობისთვის უნდა იმუშაოს პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად," - აღნიშნავს ემტონი.

დაუსაბუთებელი უარი

უხერხულობას. მაგრამ მამის გამინისტრებიდან მეორე დღესვე მან დატოვა თანამდებობა და "საქართველოს ბანკში" გადავიდა. მე-ექვსეა, ეს მიზეზი ვინმემ სერიოზულად აღიქვას. "ჩემი ასაკი" - ბრძანა მინისტრობის ან უკვე ყოფილი კანდიდატმა და აქაც ვერ დავეთანხმებით, რადგან 61 წელი სწორედ რომ შესაფერისი ასაკია შესაბამისი თანამდებობისთვის, მით უფრო ახალი წარსული გათვალისწინებით, როდესაც მინისტრებად ახალგაზრდა და სწორედ გამოუცდელო კადრები ინიშნებოდნენ. რაც შეეხება წარსულს, მგონი, გამყრელიძე ერთადერთი თუ არა, ნამდვილად ერთ-ერთი იყო მინისტრთა ახალი კაბინეტში, ვისი წარსულიც, მათ შორის ასევე ჯანდაცვის მინისტრობა შევარდნაძის კაბინეტში, "ქართული ოცნების" შეუფალ ოპონენტებსაც კი ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვრჩება მხოლოდ ვარაუდი, რომ გამყრელიძის უარი და მისი ჩანაცვლება საჩხერის საავადმყოფოს დირექტორით იმ განცხადებებს უკავშირდება, რაც ამირან გამყრელიძემ ბოლო დღეებში გააკეთა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მოსალოდნელი იყო, სოციალური საკითხებისადმი სრულიად ახლებურ მიდგომის უკავშირდება. ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ ბოლო ბრიფინგზე ბიძინა ივანიშვილმა კითხვაზე, - როდის დაურიგდებით შენთვის უმუშევრებს, - ასეთი პასუხი გასცა: "არაფერი არ ვიცი".

მაინც, რა განაცხადა გამყრელიძემ ისეთი, რაც, შესაძლოა, კოალიციის შიგნით გადასინჯვის მიზეზი გამხდარიყო? მარჩიელობა შორის ნაკვიცხანს, ამიტომ ჩვენ რამდენიმე მიმართებას დავიმოვებთ იმ ვრცელი ინტერვიოდან, რომლის დაბეჭდვასაც დღევანდელ ნომერში ვაპირებდით: "დღეს საქართველოში მთლიანად მოსახლეობის 50 პროცენტია დაზღვეული. ჩვენი მიზანია, რომ საბაზისო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლოს საქართველოს მთელმა მოსახლეობამ. ამ მიზნით უნდა შეიქმნას საბაზისო სამედიცინო პა-

ეტაი, რომელიც სერვისის მხრივ იმაზე ფართო იქნება, ვიდრე დღეს არის უმწეოთა დაზღვევის ჩამონათვალი. ისახლე ისაა, რომ აუცილებლად უნდა აღდგეს სახელმწიფო დაზღვევა - ევრო სოციალური, არამომდებელი კომპანიის ფონდი - რომელიც გაატარებს სახელმწიფო ფულს. სახელმწიფოს მიერ დაზღვეული ადამიანები ამ ფონდის საშუალებით იქნებიან უზრუნველყოფილი. ისე უკავია ვართ, რომ ჩვენ ამ ნაბიჯით კერძო სადაზღვევო სექტორის შევიწროებას ვაპირებთ. პირიქით, კერძო სადაზღვევო კომპანიებს უფრო მეტი სტიმული და მხარდაჭერა ექნებათ და ძირითადად დაკავებულ იქნებიან ნებაყოფლობითი (როგორც კორპორატიული, ისე ინდივიდუალური) დაზღვევით. ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც საბაზისო პაკეტების ზემოთ დასჭირდება დამატებითი მომსახურება, ისინი სწორედ ამ კომპანიებს მიმართავენ. ჩემი აზრით, სახელმწიფომ დამატებითი პაკეტები უშნეობისთვისაც უნდა შეისყიდოს, რადგან ასეთი პაკეტების აუცილებლობა, ბუნებრივია, გაჩნდება. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ჩემი აზრია."

"გერმანიაში ყველა იხდის მიზანდასახულ სამედიცინო გადასახადს და დასაქმებული მოქალაქე და დამსაქმებელი შემოსავლის 14 პროცენტზე ჯანდაცვისთვის იხდებს. სამწუხაროა, ჩვენ ამ მოდელზე გადასვლა ამ ეტაპზე არ გამოვივა: ვერც გადასახადებს ვერ ვაპირებთ და უმუშევრობაც იმდენად დიდია, მხოლოდ დასაქმებულების ხარჯზე სამედიცინო დაზღვევა ვერ განვითარებთ. აქედან გამომდინარე, ალბათ უფრო ბრიჭელულ-სკანდინავიური მოდელი ვიხელმძღვანელებ და ბიუჯეტიდან გამოიყოფა გარკვეული პროცენტი (დასავლური სტანდარტებით, ეს უნდა იყოს ბიუჯეტის 12-14 პროცენტი) მიზანმიმართულად ჯანდაცვისთვის. რამდენი იქნება ეს პროცენტი ჩვენთან, ამაზე უნდა შევითვინდეთ."

"მივიწივს, რატომ ატყდა ამხელა აჟიო-

და რიბიცი. სხვაგვარად სოციალური საზოგადოება ვერ აშენდება. ჩვენ ვავიწყობდებ, რომ მდღერები სწორედ იმიტომ იხდინა უფრო მეტს გადასახადების სახით, რომ ლარიბებმა ცრუ გატყვევით მოქალაქეებზე იგრძნობათ თავი."

"ღიას, საარსებო მინიმუმი რეალურად უნდა დავინფაროთ და ბიუჯეტიდან გამომდინარე, პენსია უნდა გაუჭტოდეს საარსებო მინიმუმს. პენსია რომ გაიზრდება, დაგვიდასტურებთ, მაგრამ რა ოდენობით და რა სისწრაფით, ბიუჯეტი განხილვამდე ვერ გეტყვით. საერთოდ კი საპენსიო პრობლემა არის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი, რის წინაშეც ჩვენი კაბინეტი დადგება. რამდენად დიდ იქნება საქართველოს ბიუჯეტი და ეკონომიკა, მით უფრო გაიზრდება პენსიაც. მაგრამ ეს მაინც ვერ მოხსნის დაბალი პენსიების პრობლემას. ამიტომ დღეზე უნდა დაიწყოთ მუშაობა საპენსიო რეფორმაზე. ეს იმდენად რთული საკითხია, ერთი ინტერვიუში ვერ ჩავეტყობთ. მოკლედ ვიტყვი: ჩვენ უნდა შევეფუთოთ იმ აზრს, რომ ვინც მუშაობს, მათ თვითონ უნდა დაეარტოს თავიანთი საპენსიო უზნაჭანი, რაც ხდება კიდევ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ვინც უკვე მიღწია საპენსიო ასაკს, იმათ იმდენი პენსია უნდა დაენიშნოს, რასაც ბიუჯეტი ვაწვდობს. და აუცილებლად უნდა იყოს განსხვავება მათ შორის, ვისაც საერთოდ არ უმუშაოა და ვისაც აქვს გარკვეული სამუშაო სტაჟი. სხვა გამოსავალი პენსიებთან დაკავშირებით არ არსებობს."

რამდენად სწორია ჩვენი ეჭვები, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. ასევე მალევე ვაგვიგებთ, გაითვალისწინებს ახალი პრემიერი თუ არა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლისა და ამხედროულად მისი პირადი მრჩეველის რეკომენდაციებს. ნინა ალმდე შემთხვევაში მრჩეველობა ახალი კაბინეტში ისეთივე უსარგებლო პოზიციას იქნება, როგორც ეს მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო.

გაზეთი "24 საათი" გამომცემელი შპს "გაზეთი". რედაქტორ-გამომცემელი: გამაშაა ფარუშაშვილი, პაბაბა ვეშაპიძე. რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქლაგიანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალაფიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი) სოფო ქილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი: ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაქლი კვიციანი, თენგიზ ქირია, ნინო ყველაშვილი რედაქციის მისამართი: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მინისტრობის კანდიდატთა მეორე ტალღა

პირველი გვარდიანს

გარდა ამისა, ენერგეტიკის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის ფუნქცია გამოყოფა და ისიც ეკონომიკის სამინისტროს მმართველობაში გადავა. გამსხვილებულ ეკონომიკის სამინისტროს სათავეში გიორგი კვირიკაშვილი ჩაუდგება, რომელიც, ივანიშვილის ინფორმაციით, "ქართუ ბანკის" ტოპმენეჯერებში მუშაობდა. კვირიკაშვილი ილინოსის უნივერსიტეტის ეკონომიკის მაგისტრია.

სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად ივანიშვილი "კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის" აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანია წარადგინა. როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, სამინისტროებში დაგეგმილი ცვლილების შემდეგ ნარმანია ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გახდება, ხოლო ფინანსთა მინისტრის პოსტს აქამდე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი ნოდარ ხადური დაიკავებს. ეკონომიკის დირექტორი ნოდარ ხადური კოალიცია "ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ავტორია. მას 2004 წელს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა მინისტრობის კანდიდატთა მეორე პრეზენტაციაზე კახა კალაძის გამოჩენა იყო. საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი მ რატიშვილის პრეზენტაციზე ივანიშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად წარადგინა, ფუნდში კი ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატად დაასახელა. კახა კალაძე ვიცე-პრემიერობას ენერგეტიკის მინისტროს რანგშიც შეინარჩუნებს. ბიძინა ივანიშვილმა კალაძის წარდგენის მიზეზები ასახა: "ჟურნალისტებმა ალბათ შეამჩნიეს, როგორ წარმატებულს მივადინო პოლიტიკაში კახა კალაძე და როგორ იზრდება. გასაგებია, რომ კითხვები ჩნდება - მას როგორც პირველ სამინისტროში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, ასევე ენერგეტიკის დარგში მუშაობის გამოცდილებაც არა აქვს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ ახერხებს კალაძე სწრაფ ზრდას და როგორი ნიჭიერია, იმედი მაქვს, რომ ერთი თვის შემდეგ ის ენერგეტიკის სფეროს შესახებ დასრულ ნებისმიერ კითხვას უპასუხებს. ვიდრე კალაძე ამ მიმართულებას აითვისებს, მას მთელი გუნდი დაუხმარებს. კალაძის დანიშნენით ნუ გაცდებით," - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრობის კანდიდატად ივანიშვილმა დავით დარახველიძე დაასახელა. ის ამბროლაურში კოალიციის მაჟორიტარი კანდიდატი იყო, თუმცა გამარჯვება ვერ მოიპოვა. როგორც ივანიშვილი ამბობს, პროფესიით იურისტი და ეკონომისტი დარახველიძე თავადვე დევნილია.

გარეული დაცვის მინისტრობის კანდიდატად პროფესიით ბიოლოგი ხათუნა გოგოლაძეა წარდგენილი. მინისტრობის კანდიდატმა 2008 წელს ინდიანას უნივერსიტეტში საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში მაგისტრის ხარისხი მიიღო, მანამდე კი უნგრეთში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი დაამთავრა. აღნიშ-

ნულ უნივერსიტეტში მას ასევე მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი გარემოს დაცვითი მეცნიერებისა და პოლიტიკის განხორციელების მიხედვით. ხათუნა გოგოლაძე წლების განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქმიანობდა, 2008 წლიდან კი ერთი-ს სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორად მუშაობს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრობის კანდიდატად ბიძინა ივანიშვილმა ჯიბა-ს რექტორი, ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი წარადგინა. "გიორგი მარგველაშვილის დასათანხმებლად დიდი დრო დაეხარჯა," - აღნიშნა ივანიშვილმა. მომავალი პრემიერ-მინისტრის აპარატთან განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის შექმნა იგეგმება და მას ფიზიკოსი ვია დვალი უხელმძღვანელებს. ივანიშვილმა მასთან ტელეფონითა და "სკაიპით" გამართა კონსულტაციები. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის თქმით, იმ ფასადური რეფორმების შემდეგ, რომლებიც მოქმედმა ხელისუფლებამ გაატარა, ახლა შეცდომები არ უნდა იყოს დაშვებული. განათლების კომისიის მუშაობაში "რესპუბლიკელი" დავით ზურაბიშვილიც ჩაერთვება.

პრეზენტაციის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის უკვე დასახელებულმა კანდიდატმა ამირან გამყრელიძემ თანამდებობის დაკავებაზე უარი თქვა. ამის მიზეზად კი სადაზღვევო კომპანია «ალდაგი ბისაიში» თავისი შეინივანიც გამყრელიძის საქმიანობა დაასახელა, რაც ამირან გამყრელიძის თქმით, ინტერესთა კონფლიქტს იწვევს. საქმე ის არის, რომ ნიკა გამყრელიძე 12 ოქტომბერს სამუშაოდ "საქართველოს ბანკში" გადავიდა.

ამირან გამყრელიძის ნაცვლად ივანიშვილმა კანდიდატად დავით სურგულეძე წარადგინა, რომელიც საჩხერის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელია.

მომავალი მინისტრების კანდიდატები

წარდგენის შემდეგ თითოეულმა კანდიდატმა თავისი მომავალი საქმიანობის პრიორიტეტები მოკლედ ჩამოაყალიბა. ფინანსთა მინისტრობის კანდიდატი ნოდარ ხადური პირობას დებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდება და ბიუჯეტთან ფული აღარ გაიფლანგება. "გადასახადის გადახმდების უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, ფული რაში იხარჯება. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტიდან თანხა ეფექტიანად დაიხარჯოს," - აღნიშნა ნოდარ ხადურმა. რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას, ნოდარ ხადური ამბობს, რომ ადმინისტრირება შეიცვლება, უფრო ჰუმანური გახდება და "საგადასახადო ორგანო "ზუა" აღარ იქნება." ფინანსთა მინისტრობის კანდიდატი საკუთარი ცვლილებების გეგმავს, თუმცა, მისივე თქმით, სამინისტროში პროფესიონალები დარჩებიან.

დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების მიზანშეწონილობის შესახებ საუბრობს ნოდარ ხადურის მომავალი პირველი მოადგილე დავით ნარმანია. მისი თქმით, რეგიონული განვითარების სამსახური ევროპის უმეტეს ქვეყნებში დამოუკიდებლად არსებობს, ამიტომ უმჯობესია, სამინისტროდან მისი გამოყოფა და პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადატანა. ინფრასტრუქტურის განვითარე-

ბა კი, ნარმანიას თქმით, ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელია და მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის. ამიტომ, მისი აზრით, ეკონომიკის სამინისტროსთან ამ სფეროს მიერთება გამართლებული იქნება.

გიორგი კვირიკაშვილს კი გამსხვილებული ეკონომიკის სამინისტროს ეფექტიანი მართვის იმედი აქვს. ის დარწმუნებულია, რომ ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდი მაქსიმალურად კოორდინირებულად იმოქმედებს. ამასთან, კვირიკაშვილი სამინისტროს მაქსიმალური გახსნილობისა და ხელმისაწვდომობის პირობას დებს. მანაც ტრადიციულად აღნიშნა, რომ სამინისტროში პროფესიონალი კადრები სამსახურს შეინარჩუნებენ.

დავით სურგულეძემ კი ჯვანდაცის სამინისტროს მთავარ პრიორიტეტად თითოეული მოქალაქის სახელმწიფო დაზღვევის უზრუნველყოფა და სამედიცინო სერვისის ხარისხის გაუმჯობესება დაასახელა. მან შრომის კოდექსის ცვლილების აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დღეს პრიორიტეტი დამქირავებლის ენიჭება და დაქირავებული ნაკლებად დაცულია, ასევე გადასახვდია შრომის უსაფრთხოების ნორმატივებიც. როგორც დავით სურგულეძე ამბობს, პენსიისა და სოციალური დახმარების ოდენობაც გადაიხედება და უმუშევრობის კომპენსაციის საკითხიც განიხილება.

განათლების და მეცნიერების მომავალი მინისტრი მანდატურთა საქმიანობის გადახედვას ამბობს, რადგან, მისი თქმით, ეს სამსახური, დღევანდელი ფორმით, დათრგუნვის მექანიზმია. თუმცა, მარგველაშვილი დასძენს, რომ მანდატურის სამსახურმა სკოლებში გარკვეული პრობლემები მოხსნა. რაც შეეხება მთლიანად განათლების სისტემას, როგორც განათლების მინისტრობის კანდიდატი ამბობს, ის ბოლონის პროცესისკენ ერთმნიშვნელოვნად სწორ ორიენტარს აიღებს.

ენერგეტიკის მომავალი მინისტრი კახა კალაძე თავისი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტებად ჰესების მშენებლობას ასახელებს. როგორც მან ჟურნალისტებს უთხრა, საქართველო მთელი წლის განმავლობაში საკუთარი ელექტროენერჯითი უნდა იყოს უზრუნველყოფილი. "საქართველო ზამთარში ელექტროენერჯის ყიდულობს," - ამბობს კალაძე. მისი თქმით, მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა დაწყებულია, თუმცა დიდი ჰესების მშენებლობა კითხვებს აჩენს. "მაგალითად, "ხუდონჰესი", რომლის მშენებლობა რამდენიმე სოფლის და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ძვლების დატვირევას გამოიწვევს. სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ უნდა გადაწყვიტოთ, გვიდრის თუ არა ეს. არ შეიძლება, ერთი საქმის კეთების ხარჯზე, მეორე გავაფუჭოთ," - აღნიშნა კალაძემ.

კახა კალაძე გაზსა და ელექტროენერჯიაზე ტარიფის დაწევის მიზნით კომპანიებთან კონსულტაციების გამართვას გეგმავს. კალაძე სამინისტროში მოადგილეების შემცირებას პირებს. "დღეს მინისტრს 6 მოადგილე ჰყავს, რაც შესამცირებელია," - თქვა კალაძემ.

მინისტრობის კანდიდატებს აფასებენ

ბუქარესტში გამგზავრებამდე, საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის დამტკიცებასთან დაკავშირებით კომენტარი

გაკეთა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურები რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულდეს. ქვეყნის პირველმა პირმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მზად არის ითანამშრომლოს იმ ხელისუფლებასთან, რომელიც ქართული საზოგადოების უმრავლესობის მიერ არჩეულმა პოლიტიკურმა ძალამ დააკომპლექტა.

"საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა წარმოადგინა, როგორც ეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული. მე საზოგადოებას მივანდგები, რომ აქ არ არის ლაპარაკი, მომწონს თუ არა მთავრობის შემადგენლობა მე, როგორც პრეზიდენტს ან პოლიტიკოსს. ჩვენ ვთქვით, რომ ვინაიდან ასეთია ქართველი ხალხის ნება, ჩვენ ვთანამშრომლობთ ნებისმიერ შემადგენლობასთან, რომელსაც წარმოადგენს არჩევნებში უმრავლესობით მოსული კოალიცია. ამიტომ ჩვენ ამ შემადგენლობას გადავგზავნილ უნდა დავაპრობებ და საქართველოს პარლამენტში იმედი მაქვს, რომ პარლამენტი დროზე შეიკრიბება და ყველა პროცედურას დროულად გავივლიან, გადავდებთ აზრი არ აქვს და არც არის სწორი. კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურები და ვადები რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაგასრულეთ და საქართველოს პარლამენტმა ეს მთავრობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაამტკიცოს. მე ვისურვებდი, რომ ის დაპირებები, რომელიც გამარჯვებულმა კოალიციამ მისცა ქართველ ხალხს, მაქსიმალურად შესრულდეს. ასევე ვისურვებდი, რომ საქართველოს პროგრესი გარკვეულდეს. ვისურვებდი, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ შესარულოს თავისი მაკონტროლების როლი, კონსტიტუციური პროცესი და საქართველოს განვითარება გაგრძელდეს. ჩემი, როგორც პრეზიდენტის ფუნქცია, ამ ეტაპზე სწორედ ამით შემოფარდება," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მინისტრობის კანდიდატთა დასახელების შემდეგ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა დავით დარჩიაშვილმა ივანიშვილის გადაწყვეტილების შესახებ ისაუბრა. მან განსაკუთრებით კახა კალაძის კანდიდატურაზე გაამახვილა ყურადღება. "პირადი ემოციების დონეზე ვიტყვი, რომ პარლამენტის წინამე მოთხოვნის ნევრობის კანდიდატთა ოფიციალურად წარდგენამდე პირველი ცვლილებები გარკვეულ კითხვებს აღძრავს. სულ ორიოდ დღის წინ მომავალი მინისტრებად სხვა პირები სახელმძღვანელობდა, შემდეგ ზოგი შეიცვალა, ზოგს თანამდებობა შეეცვალა, ზოგიერთზე კი თქვა, რომ მართალია, როგორც წინა, ასევე ახალ სფეროებში გამოუცდილია, მაგრამ ნიჭიერი ადამიანია," - შენიშნა დარჩიაშვილი. მისი თქმით, გამოჩნდება, როგორ ესამის მენეჯერებში ნიჭიერება ახალ კაბინეტს და, პირველ რიგში, მის ხელმძღვანელს. გარდა ამისა, როგორ წარმოადგენია პროფესიონალიზმისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ურთიერთმიმართება და თავსებადობა. გასაგებია, რომ ზოგიერთ სფეროში სულაც არ არის აუცილებელი, უშუალოდ დარგის სპეციალისტი იყო, მაგრამ მასთან გარკვეული შეხება უნდა გქონდეს. ბუნებრივია, მართალია გამოცდილება ამა თუ იმ სექტორის სამართავად ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია.

"მსოფლიოს უკვე შეუძლია ნახოს, რომ საქართველოში არის დემოკრატიის არსი"

პირველი გვარდიანს

ერიკ რუბინის თქმით, საქართველოს წინ მნიშვნელოვანი და ამაღლებული პერიოდი ელოდება და გასული კვირის მოვლენები ქართველი ხალხისა და საქართველოსთვის დიდი გამარჯვება იყო. ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ აღნიშნა, რომ დემოკრატია რეალურია მაშინ, როდესაც იგი მდგრადია და ძალაუფლების გადაცემა მშვიდობიანად და რეგულარულად ხდება.

"მსოფლიოს უკვე შეუძლია ნახოს, რომ საქართველოში არის დემოკრატია და ის შეიძლება, რეგიონისთვის სანდო მუშო გახდეს. მე გამომართლა და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებზე უკვე 20 წელია, ვმუშაობ. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში დიდი პროგრესი ვნახეთ. მხარდაჭერას აღუთქვამთ საქართველოს, რომელიც დემოკრატიული განვითარების გზაზე დგას," - განაცხადა ერიკ რუბინმა.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ ყველას მიულოცა ხელი-

სუფლების მშვიდობიანი და უმტკივნეულო გადაცემა. მან აღნიშნა, რომ ეს პროცესი ნამდვილად სანიშნავი და თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა როგორც მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს, ასევე არჩეული და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციას. "ამ არჩევნებით საქართველომ დაადასტურა თავისი განწყობა დემოკრატიისადმი. ყველა პირი, ვისაც შეეხებოდა, დასტურდება, რომ საქართველო ევროატლანტიკური ინსტიტუტებისა და ღირებულებებისკენ სწრაფვას კვლავაც გააგრძელებს. ასევე ვადასტურებთ, რომ ამერიკა-საქართველოს პარტნიორობა გაგრძელდება," - აღნიშნა ერიკ რუბინმა.

მისი თქმით, ამერიკის შერეული შტატები მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ამერიკისთვის კვლავაც მიუღებელია რუსეთის მხრიდან 2008 წელს აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

"ჩვენთვის ასევე მიუღებელია რუსეთის ჯარის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე," - აღნიშნა ერიკ რუბინმა

და დასძინა, რომ ამერიკის შერეული შტატები მომავალშიც საქართველოს მტკიცე პარტნიორად დარჩება. პრემიერობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მან რუბინს აუხსნა, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში საქართველოს პრეზიდენტს, ევლილი წულის ტოლია. ამის შესახებ, ივანიშვილმა რუბინთან შეხვედრის შემდგომ განაცხადა.

ჩვენ მას კარგად განვუმარტეთ, რომ ამ წარმატებას იმსახურებს ჩვენი კოალიცია და საქართველოს მოსახლეობა და არა ძველი ხელისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ იყვნის თავის ძველ კავშირებს საერთაშორისო მედიასთან იმის საჩვენებლად, რომ სააკაშვილია ისევე დემოკრატიის შუქურა. მე მას კარგად განვუმარტეთ, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში სააკაშვილის როლი წულის ტოლია," - ამბობს ივანიშვილი.

მისივე თქმით, არჩევნების გარდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან საუბარი შეეხო საქართველო-აშშ-ს ურთიერთობებს, მომავალ პროექტებს, თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის

სფეროში. მათ ისაუბრეს ირანის და თურქეთ-სირიის კონფლიქტის შესახებაც.

ბარაკ ობამას წერილი მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ამერიკის შერეული შტატების სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ ერიკ რუბინმა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას წერილი გადასცა, რომელიც კიდევ ერთხელ მკაფიოდ არის აღნიშნული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.

"გარდების რეპორტის მემკვიდრეობის დასაცავად და თქვენი ქვეყნის მომავლის ევროპასთან დასაკავშირებლად შეუძლებელია, გაკეთებულიყო იმაზე მეტი, ვიდრე არის ისეთი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვა, როგორც დადასტურდება საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს წარმატებას... ახლა, როდესაც არჩევნებმა უკვე ჩაიარა, მსოფლიო ხედავს, რომ საქართველომ ეს ეტაპი თქვენი ლიდერობით გადალახა. ეს არის თქვენი ერთგულება დემოკრატიული პროგრესისა და ამ კურსის მიმართ, რაც თქვენი მტკიცე შემკვიდრება იქნება. მაშინ როდესაც არჩევნების შედეგები თქვენთვის და თქვენი მხარდამჭერებისთვის დიდი იმედგაცხადება იყო, ამ შედეგებმა აჩვენა, რომ თქვენი მმართველობის დროს საქართველოში ჩამოყალიბდა მოქნილი და კონსურენტუნარიანი დემოკრატია. ნინსვლისთვის საქართველოს დასჭირდება, რომ თქვენ განაგრძოთ თქვენი ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება. არჩევნების შედეგების ცნობის შესახებ თქვენმა საჯარო განცხადებებმა დაამტკიცა, რომ თქვენთვის უპირატესია ყველა ქართველის ინტერესის გათვალისწინება," - ნათქვამია პრეზიდენტ ბარაკ ობამას წერილში.

დარჩიაშვილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა მინისტრობის კანდიდატ დავით დარახველიძეს ცალკე გამოყოფს: "ამ სამინისტროს მომავალი ხელმძღვანელი, იმედიან, იმ კურსის და ფილოსოფიის გამტარებელი არ იქნება, რასაც წინასწარჩვენო კამპანიის დროს ამბობდა. ამ საკითხზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრმა უნდა აიღოს. ვგულისხმობ იმ განცხადებებს, რომლებსაც ამ სამინისტროს მომავალი ხელმძღვანელი თავის დროზე აკეთებდა, მაგალითად - საქართველოში ძალიან მონარაველდნენ ინდოელი, ჩინელები, შანგაი, ქვეყანაში სინათლე არ არის, საქართველო ქართველებისთვის უნდა იყოს."

დავით დარჩიაშვილის თქმით, საქართველო ქართველების და ყველა მოქალაქის უნდა იყოს, რაც თანამედროვე, ცივილიზებული სახელმწიფოს პირობაა. როგორც დარჩიაშვილი აღნიშნავს, თუ ახალი ხელისუფლების კრედიტ და მოწოდება ადამიანის უფლებების დაცვა, მოქალაქეების თინიკური ნიშნით დაყოფა ან არამოქალაქეებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება ამ განცხადებულ პრინციპებში არანაირად არ ვდება.

მინისტრობის კანდიდატების წარდგენას ეხმაურება ასევე ნინა მოწვევის პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე. მისი აზრით, გარემოს დაცვის მინისტრობის კანდიდატი ხათუნა გოგოლაძე უმაღლეს თანამდებობას ნამდვილად იმსახურებს. შემოძლია, გითხრათ ერთ-ერთ კანდიდატზე ხათუნა გოგოლაძეზე, ის ნამდვილად იმსახურებს უმაღლეს თანამდებობებს. ამას ვამბობ პირადად ჩემი დავკრივებით, ვინაიდან ის იყო უფლებამოსილი. დანარჩენი კანდიდატების შესახებ ვერაფერს ვეტყვი, თუმცა გიორგი მარგველაშვილის კანდიდატის შესახებ საყოველთაო საზოგადოებრივი აზრი დადებითი იქნება," - განაცხადა ლორთქიფანიძემ.

საკუთარ შემცველებზე საუბრობს ფინანსთა ექს-მინისტრი კახა ბაინდურაშვილი.

ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდის შეფასებისას ის აღნიშნავს, რომ მთავარი, მინისტრთა ახალმა კაბინეტმა რეფორმები გააგრძელოს და ქვეყანამ მაკროეკონომიკური სტაბილურობა შეინარჩუნოს. მნიშვნელოვანია, რომ რეფორმები, რომლებიც ეკონომიკური კუთხით მიმდინარეობდა, გაგრძელდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროსთვის, შენარჩუნდეს მყარი მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ვინაიდან ეს არის ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების და სოციალური ფონის წინაპირობა, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ახალი მთავრობაც ამ მიმართულებებს მიაქცევს ყურადღებას, - განაცხადა ბაინდურაშვილმა.

კონკრეტული კანდიდატების შეფასება რაც შეეხება, ბაინდურაშვილის თქმით, ფინანსთა მინისტრობის კანდიდატი ნოდარ ხადური ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა და მისასაღმებლებია, რომ ამ უწყებაში ის ადამიანი მდიდს, რომელმაც სისტემა იცის. ერთი რამ ცხადია, რომ ფინანსთა მინისტროს სხვა ტიპური სამინისტროების მსგავსი არ არის. თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, საკმაოდ ტენიკური სამინისტროა და პრინციპში მველასებრი იმას, რომ იქ ის ადამიანი მდიდს, რომელმაც სისტემა იცის, - აღნიშნა ბაინდურაშვილმა.

ჰერმან ჰესსის კიდევ ერთი რომანი ქართულად



გიორგი შატბერაშვილი

პირველი გვირგვინი

ჰესსს ჩანაწერების მიხედვით, იგი ამ რომანში ეძებდა იმ საერთოს, რაც ყველა ადამიანს აერთიანებს მისი რელიგიურობის და ეროვნების მიუხედავად და რასაც მიაგნო კიდევც.

“ამ წიგნის ხიბლი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, უნატიფესი, პოეტური ენაა, რამაც კითხვისას დამიბოძოვებინა განცდა, თითქოს არა უცხო, არამედ მშობლიურ ენაზე დანერგულ ვკითხულობდი, იმდენად ახლობელი იყო თავისი გამომსახველობითი ფორმებით და პოეტურობით. მართლაც ლექსივით იკითხება. და თუმცა პროზაული ნაწარმოებია, მაგრამ მწერალმავე მიანერა ქვესათაურად -ინდური პოემა.” რამდენად შეეძლო ქართულ ენაზე ამის გადმოტანა, ამას მკითხველი განსჯის, - ამბობს გიორგი შატბერაშვილი. ეს ის შემთხვევაა, როცა მთარგმნელისთვის მთავარი სტიმული პირადი დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მთავარ გმირთან, რომელიც ძალიან ახლობელი გახდა თავისი ძიებებით, რამაც იგი საბოლოო ნერტილამდე მიიყვანა - აბსოლუტურ ჭეშმარიტებას აზიარა.

ენის პოეტურობის გარდა, ჰესსს “ზიდჰარტას” ხიბლს შეადგენს ადამიანის სულიერი სამყაროს ის ნედრობა, რაც დამახასიათებელი იყო მწერლის შემოქმედებისათვის. ჰესსს კარგად იცნობდა იუნგის ფსიქოანალიზსა და აღმოსავლურ რელიგიებსა თუ ფილოსოფიებს, რაზედაც ის თავის ნაწარმოებებს ასენებდა.

გიორგი შატბერაშვილის თარგმანი წელს გოეთე ინსტიტუტის თარგმანის ხელშეწყობის პროექტის გამარჯვებული უკვე გახდა, ხოლო რაც შეეხება გამომცემლობა “სიესტას” დაინტერესებას, იგი შეიძლება ითქვას, ჰესსს პოპულარიზატორია საქართველოში: მას შემდეგ, რაც მარიამ ქსოველის მიერ თარგმნილი “ნარცისი და გოლდმუნდი” გამოიცა და “შუმის (ყალბი) მარგალიტებით თამაშის” გამოცემაც იგეგმება, “ზიდჰარტა” ამ სე-

რიის გაგრძელებად შეიძლება ჩათვალოს.

ჰერმან ჰესსს ინტელექტუალურ მწერალთა რიგს განეკუთვნება; მის თხზულებებში ვხვდებით სრულიად განსხვავებული აზრობრივი სფეროდან გამომდინარე იდეებს. მწერალმა რთული შემოქმედებითი ევოლუცია განვილო. ადრინდელი ნაწარმოებები - “რომანტიკული სიმღერები”, “ჰერმან ლაუშერი”, ალბეტილი იყო ესთეტიზმითა და ნეორომანტიკული სულიკვეთებით; მომდევნო წლებში თავი იჩინა რეალისტურმა, სოციალურ-კრიტიკულმა ტენდენციებმა, როგორცაა რომანები “პეტერ კამენცინდი”, “ბორბლის ქვეშ”. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაწერილ ნაწარმოებებს კი ღრმა კვალი დაამჩნია დასავლეთის სამყაროს სულიერი კულტურის კრიზისის განცდამ. მწერლის მხატვრულ ძიებათა ცენტრში მოექცა თვითყოფილი და ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემა, რაც მის ნოველისტიკაშიც დამკვიდრდა. ჰესსს შემდგომ რომანებსა და მცირე პროზაულ თხზულებებს საფუძვლად უდევს “ტრამალის მგელი”, სადაც სიცოცხლის “ბიოლოგიური” ხასიათი და საპირისპირო პოლუსთა ჰარმონიული ურთიერთშეთანხმების იდეაა წარმოჩენილი. ეს პრობლემა დგას მომდევნო რომანებშიც “ნარცისი და გოლდმუნდი”, “თამაში რიოში მარგალიტებით”. დიდ ყურადღებას იმსახურებს ჰესსს ესეისტური ხასიათის თხზულებებიც “მოაგარაკე”, “ნიურნბერგის მოგზაურობა”. ჰესსს პროზისათვის დამახასიათებელია თხრობის ინტელექტუალიზაცია, ესეიზმი, სიმბოლურ-ალეგორიული ელემენტების სიჭარბე და ფილოსოფიური სიღრმე. მის თხზულებებში ორი სინამდვილეა წარმოდგენილი — გარეგანი, ყოფით-ემპირული და შინაგანი, სიმბოლურ-ალეგორიული, რომელსაც თვითონ უწოდებს “მაგიურს”.

ჰესსს რომანებს ქართულ ენაზე რეზო ყარალაშვილის, ნანა გოლოგაშვილის თუ მარიამ ქსოველის თარგმანებით ვეცნობოდით აქამ-

დე, რაც შეეხება, “ზიდჰარტას” მთარგმნელს, გიორგი შატბერაშვილს, ეს მისთვის პირველი თარგმანია, თუმცა ამჯერად ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მთარგმნელი გერმანიაში ცხოვრობს, შესაბამისად, იმ ენასთან ყოველდღიური და ცოცხალი შეხება უწევს, რომლიდანაც თარგმნის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გაგვიჩნდა ინტერესი გვეკითხა, კიდევ რომელი ავტორის თუ ნაწარმოების გაცნობას აპირებს ის ქართველი მკითხველისათვის.

“ცოტა ხნის წინ წავიკითხე თანამედროვე გერმანელი მწერლის კრისტენ კრახტის რომანი “იმპერია”, რომელიც წლის ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად ითვლება. და წავიკითხე იმ მოსაზრებით, თუკი ასეთი მნიშვნელოვანია, ხომ არ მეთარგმნა მეთქი. საინტერესოა ნიგნია, თუმცა ვერ გეტყვით, რომ თარგმნის სურვილი აღმიძრა. თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ძირითადი თემატიკა თანამედროვე ცხოვრებაა, პოლიტიკით დაწყებული, სექსით დამთავრებული. რაც შეეხება პოეზიას, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, საერთოდ აღარ არსებობს. რასაკვირველია, პოეტებიც არიან და ლექსიც იწერება, მაგრამ ხელოვნებისა და ლიტერატურის ადგილი მთლიანად შეცვლილია საზოგადოებაში. სახელმძღვანელოებში აღარ არის შეტანილი პოეზია. ჩემი შვილები გერმანულ სკოლაში სწავლობენ და ლიტერატურა ცალ-

კე საგნად არც უსწავლიათ, იგი ჰუმანიტარული საგნების ერთ-ერთი მიმართულებაა. არ მახსოვს, ან თხზულება დაენეროთ, ან ლექსი დაეზუპირებინოთ. ახალგაზრდებს ასწავლიან, იყვნენ სოციალურები, ტოლერანტები, პაციფისტები, მშვიდობისმოყვარენი და ისინი ხდებიან კიდევ ასეთები, მაგრამ ესთეტიკურ აღზრდას რაიმე ადგილი თუ უჭირავს სასკოლო პოლიტიკაში, ვერ ვიტყვით. პოეზია მხატვრული სიტყვაა და როცა მის მოსმენას, ალქმას გადაჩვეულები არიან, აღარც დამწერი რჩება და აღარც მკითხველი,” - ამბობს გიორგი შატბერაშვილი.

დასავლური სამყარო აქცენტს იმ ფასეულობებზე აკეთებს, რაც საზოგადოების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია და ახალ თაობასაც იმ უნარებით ზრდის, რაც მას ყოველდღიურ ყოფასთან ბრძოლაში გამოადგება, თუმცა კი, იმ პროცესში, რასაც ცივილიზაცია ჰქვია, ადამიანებს ეკარგებათ მთავარი უნარი - შემოქმედებითობის და მარტოოდენ მომხმარებლებად ყალიბდებიან. ვერავინ იტყვის, სადამდე ივლის ამგვარი სამყარო, საით გადაუხვევს, ან სად გაჩერდება.

გიორგი შატბერაშვილის ესთეტიკაში კი ისევ ძველი თაობის მწერალი ჩაჯდა, იგი მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანელი მწერლის, ფილოსოფოსის, ოფიცრისა და ენტომოლოგის ერნსტ იუნგერის მოგონებების გადმოქართულებას აპირებს.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტატი გთავაზობთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ მოდულებს:

- აქტიური სწავლება ზუნებისმეტყველებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-7 კლასში (ინტენიონებუი კურსი) (2 კრედიტი)
- აქტიური სწავლება ზუნებისმეტყველებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე (2 კრედიტი)
- აქტიური სწავლება ფიზიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე (2 კრედიტი)
- აქტიური სწავლება ქიმიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე (2 კრედიტი)
- აქტიური სწავლება ბიოლოგიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე (2 კრედიტი)

ტრენინგები ჩატარდება შაბათ-კვირას, უახლესი სენსორული ტექნოლოგიებით აღჭურვილ SALIS - ის ლაბორატორიაში

მისამართი: გიორგი წერეთლის 1, კონუხი G (ყოფილი ენციკლოპედიის შენობა) დამატებითი ინფორმაციისათვის დაწკაპეთ: 593 59 59 82, 577 41 52 42



რეზერვდუმი მოტლანდიაში - დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნაბიჯი?!

სათუნა გახიანი

ხელშეკრულება, რომელსაც ხელი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა და მოტლანდიის პირველმა მინისტრმა ალექს სალმონდმა მოაწერეს, შესაძლოა, მოტლანდიის დამოუკიდებლობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი გამოდგეს. დოკუმენტის თანახმად, მოტლანდიას გაერთიანებული სამეფოსგან გამოყოფისთვის რეფერენდუმის ჩატარების უფლება ეძლევა. ლონდონის წერილობით ნებართვას უკვე სახელიც ეწოდა - "ედიმბურგის შეთანხმება". დოკუმენტი 2014 წლის შემოდგომაზე საყოველთაო კენჭისყრას ითვალისწინებს, რომლის დროსაც მოტლანდიელებს მარტივ კითხვაზე მარტივი პასუხის გაცემა მოუწევს - "დიახ" ან "არა" შეკითხვაზე - სურთ თუ არა დამოუკიდებლობა. ამ შეთანხმებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმის გამოც, რომ პირველად დიდი ბრიტანეთის ისტორიაში რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ეძლევათ იმ მოქალაქებსაც, რომელთაც 16 წელი შეუსრულდათ.

აშუაშობ მოტლანდიასა და ინგლისს 1707 წელს მიღებული უნიის შესახებ აქტი აკავშირებს, როდესაც ორმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა დიდი ბრიტანეთის სამეფოს შექმნის შესახებ ხელშეკრულებას. უახლესი შეთანხმების თანახმად კი, საარჩევნო კომისია მიმდინარე წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რეფერენ-



დუმისთვის მზადებას უკვე შეუდგება, კერძოდ, მკაფიოდ ჩამოყალიბდება პლენციტიზმზე დასასმელი კითხვა, 2013 წლის გაზაფხულზე რეფერენდუმის შესახებ ბილი განსახილველად უკვე მოტლანდიის პარლამენტს წარედგინება. იმავე წლის ოქტომბერში მოტლანდიის პარლამენტის წევრები მონაწილეობას მიიღებენ გადამწყვეტ, კენჭისყრის მესამე ეტაპში, ნოემბერში ბილი, სავარაუდოდ, მიიღებს სამეფო დასტურსაც. ამის შემდგომ კი მოტლანდიის მთავრობა გამოაქვეყნებს ენ.

თეთრ წიგნს, რომელშიც განსაზღვრული იქნება დამოუკიდებლობის პარამეტრები. 2014 წლის ზაფხულში გააქტიურდება კამპანია დამოუკიდებლობის მხარდაჭერისა და ასევე, წინააღმდეგ. იმავე წლის შემდგომზე კი საყოველთაო კენჭისყრაც შედგება.

ბრიტანელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რეფერენდუმზე საუბრის დაწყება და შემდგომ უკვე სამთავრობო

დონეზე შეთანხმების გაფორმებაც შესაძლებელი იქნება, როცა გასულ წელს არჩევნებში მოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ გაიმარჯვა. დიდი ბრიტანეთის მთავრობის ახალი შეთანხმების თანახმად, რომელიც საკონსტიტუციო საკითხებზეა პასუხისმგებელი, მოტლანდიის პარლამენტს მიეცემა შეზღუდული უფლება რეფერენდუმის ჩატარებლად, მაგრამ ამავდროულად ორივე მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს იმაზეც, რომ

ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე კონსტიტუციული თანამშრომლობა ექნებათ რეფერენდუმის შედეგებისგან დამოუკიდებლად. "ყოველთვის მზად ვიყავი, პარტიისგან გამომეხატა მოტლანდიელი ხალხის მიმართ: მათ ხმა მისცეს პარტიას, რომელსაც ყოველთვის სურდა რეფერენდუმის ჩატარება, მე კი ამ რეფერენდუმის ჩატარება რეალური გავხადე, როგორც კი დაგრწმუნდი, რომ იგი კანონიერი და გამჭვირვალე იქნება. თანაც გულწრფელად მჯერა, რომ მოტლანდიისთვის უმჯობესი იქნება დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში ყოფნა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბრიტანეთისთვისაც უმჯობესია მოტლანდიისთან ერთად ყოფნა", - განაცხადა ბრიტანულ პრესასთან ინტერვიუში დევიდ კამერონმა.

ისტორიული შეთანხმების მიღწევის შემდეგ მედიისთვის კომენტარები არც მოტლანდიის პირველმა მინისტრმა დაიწერა. მისი თქმით, ედიმბურგის შეთანხმებამ მოტლანდიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადამწყვეტილების განხორციელება შესაძლებელი გახადა, ეს კი ბოლო რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში მოტლანდიელი ხალხის უმთავრესი მისწრაფება იყო. "მჯერა თუ არა მე პირადად, რომ ამ კამპანიაში დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გადაწყვეტა ყველაფერი? რასაკვირველია, მჯერა", - ემოციურად განაცხადა მოტლანდიის პირველმა მინისტრმა.

ჰაბაში რადოვან კარაჯიჩიკი ნაყენი ბრალდებაები უარყო

სალომე ჯანიაშვილი

ბოსნიელი სერბების ყოფილი ლიდერი 67 წლის რადოვან კარაჯიჩიკი ჰაბის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა. მას ბრალად ედება ყოფილი იუგოსლავიაში, უფრო კონკრეტულად ბოსნია-ჰერცეგვინაში, სხვადასხვა სამხედრო დანაშაულის ჩადენა. კარაჯიჩიკის განცხადებით, სასამართლომ, წესით, ის, დამნაშავედ გამოცხადების მაგივრად, უნდა დააჯილდოვოს ყველა იმ კარგი საქმის გამო, რაც გაუქმებულია.

"შე გავაკეთე ყველაფერი, რაც ადამიანს შეუძლია, რომ თავიდან ავიცილებინა ომი და შემემცირებინა ადამიანების ტანჯვა", - განაცხადა განსასჯელმა. მისი გამოსვლიდან, რომელიც ტელევიზიაში ნახევარი საათის დაგვიანებით გადაიკვეთა, ცხადი იყო, ნათლად ჩანდა, რომ მას თავი მშვიდად და დამაჯერებლად ეჭირა. კარაჯიჩიკმა საკუთარ თავს რბილი, ტოლერანტიული პიროვნება უწოდა, რომელსაც დიდი უნაბეჭდობა აქვს, გაუგოს სხვებს. მისი განცხადებით, მას



მრავალჯერ გაუწივდა ბოსნიელი სერბების ჯარი, როდესაც მათ გამარჯვებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩებოდათ, და ცდილობდა, მიეღწია სამშვიდობო შეთანხმებისთვის, დაეცვა საერთაშორისო სამართალი. ის, აგრეთვე, ცდი-

ლობდა, დახმარებოდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულებს. კარაჯიჩიკის განცხადებით, ომში დაღუპულთა რიცხვი სამი-ოთხჯერ ნაკლებია იმ მონაცემებზე, ვიდრე ოფიციალურად ვრცელდება.

რადოვან კარაჯიჩიკის წინააღმდეგ საქმე აღძრულია 10 ბრალდებით. მათ შორის არის გენოციდი, სამხედრო დანაშაული და ასევე 90-იან წლებში ბოსნიის ომში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები. თავად კარაჯიჩიკი უარყოფს ყველა ამ ბრალდებებს, მათ შორის ბოსნიის ქალაქ სრებრენიცაში მომხდარ გენოციდთან რამე კავშირს.

რადოვან კარაჯიჩიკი 13 წლის განმავლობაში იძალდებოდა. ის 2008 წელს ბელგრადში იპოვეს, სადაც შეცვლილი სახელით ცხოვრობდა. პირველად ის ჰაბის ტრიბუნალის წინაშე წიშის შემდეგ, 2009 წლის ოქტომბერში წარსდგა.

მის წინააღმდეგ წყვეტილი ბრალდება გენოციდის თაობაზე უკავშირდება სწორედ 1995 წელს 7000 მუსულმანი მამაკაცისა და ბიჭის დახოცვას სრებრენიცაში. ბრალდებები ასევე ეხება სარაევოს ალყის პერიოდს და მის დაბომბვას, რომელიც 1992 წელს დაიწყო და 44 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. დაბომბვების შედეგად 12 ათასი ადამიანი დაიღუპა.

მოსალოდნელია, რომ სამშაბათს სასამართლოს წინაშე წარსდგება დაცვის მხარის მონაწილე, პოლიციელი ანდრეი დე-

მურენკო რუსეთიდან, რომელიც 1995 წელს სარაევოში გაეროს სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი იყო. დემურენკო ჩვენებას მისცემს, 1996 წელს აგვისტოში ბაზრის ნაღმტყორცნი დაბომბვის საკითხზე.

2012 წლის ივნისში კარაჯიჩიკმა შეძლო, გაესაჩივრებინა მის წინააღმდეგ წყენებული გენოციდის ერთ-ერთი ეპიზოდი. მისი სახელი უკავშირდებოდა ბოსნიის ქალაქებიდან და სოფლებიდან სერბი ეროვნების მოსახლეობის გასახლება, თუმცა ეს ბრალდება მოიხსნა. მის წინააღმდეგ წაყენებული დანარჩენი ყველა სხვა ბრალდება კვლავ ძალაში რჩება.

კარაჯიჩიკი ამტკიცებს, რომ ადგილებზე მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში არ იყო. მან ასევე განაცხადა, რომ არასდროს უნდოდა, ხელისუფლებაში ყოფილიყო და სურდა, პოლიტიკა მედიცინისა და პოეზიის გამო დეტოვირებინა. "ყველა, ვინც მე მიცნობს, დადასტურებს, რომ მე არ ვარ ავტორიტარი, არ ვარ აგრესორი და შეუწყნარებელი", - განაცხადა მან.

ისრაელის პარლამენტმა თვითდაშლა გამოაცხადა

პირველი გზარდინი

მისი სიტყვებით, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მან მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებთან კონსულტაციების სერიის შემდეგ გადაწყვიტა. ახლა ეს უკვე პარლამენტმაც დაადასტურა.

ისრაელის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შეთანხმების მცდელობა კრახით დასრულდა. "ამ დროისთვის საპარლამენტო ბიუჯეტის მიღება შეუძლებელია. ჩვენ წინასწარჩვენი კამპანიის მიჯნაზე ვიმყოფებით და, სამწუხაროდ, როგორც ეს ხშირად ხდება საარჩევნო წელს, პარტიებისთვის არც ისე ადვილია, ნაციონალური ინტერესები პარტიის ინტერესზე მალა დააყენონ", - განაცხადა ნეთანიაჰუმ იერუსალიმში გამართულ ბრიფინგის დროს.

ისრაელის კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა დატკიცდეს არა უგვიანეს 31 მარტისა. მისი განხილვა კი ოქტომბრიდან იწყება.

ზაფხულში უკვე ცნობილი იყო, რომ ამ წელს ბიუჯეტის ირგვლივ შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა. ეს მას შემდეგ გახდა ნათელი, რაც ხელისუფლება ბიუჯე-

ტის უპრეცედენტო შემცირებას დათანხმდა. ევროპელი ექსპერტების თქმით, იმისთვის, რომ ისრაელს თავიდან აეცილებინა სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, საჭირო იყო ბიუჯეტის შემცირება 15 მილიარდი შეკელით (დაახლოებით, 4 მილიარდი დოლარით), რის შედეგადაც დაზარალდა თითქმის ყველა სამთავრობო უწყება, მათ შორის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შიდა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამინისტროც კი.

ასეთი მკვეთრი ნაბიჯით ყველა კმაყოფილი არ არის. უფრო დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2013 წლის ბიუჯეტშიც ფინანსთა სამინისტრო იმავე 15 მილიარდი შეკელის დაზოგვას აპირებს.

ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, ჯერ კიდევ პარლამენტის თვითდაშლამდე პრემიერ-მინისტრმა საბიუჯეტო მარცხის შესახებ პასუხისმგებლობა თავის პარტნიორებს დააკისრა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პარტია მას არ დაუსახელებია, ყველა მიხვდა, თუ ვის გულისხმობდა. ეს არის ორი ფიქტი მარტია - რელიგიური "შასი" და ყოფილი საბჭოთა კავშირის ემიგრანტების პარტია "ჩვენი სახლი ისრაელია." მისი

განცხადებით, კოალიციური პარტიორების მოთხოვნებმა, შესაძლოა, დაარღვიოს ეკონომიკური ჩარჩოები, რაც, თავის მხრივ, ქვეყანას დეფიციტამდე მიყვანს და მას რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდებს, როგორც სიტუაციაშიც ამჟამად რამდენიმე ევროპული ქვეყანა იმყოფება. "მე არ დავუშვებ, რომ ჩვენიან ეს მოხდეს", - განაცხადა მან. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ეკონომიკური მდგომარეობა არასდროს გამხდარა ფორმალური საბაზი ვადამდელი არჩევნების დანიშნისთვის. ასეთი საკითხები დღის წესრიგში პოლიტიკური პრობლემების გამო დგებოდა.

ნეთანიაჰუს განცხადებით, სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის აუცილებელია ვადამდელი არჩევნები და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება მმართველი პარტიისთვის. ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ მომდევნო მთავრობასაც ბენიამინ ნეთანიაჰუ უხელმძღვანელებს, მაგრამ გაურკვეველ რჩება, როგორ დაკომპლექტდება მმართველი კოალიცია. "ლიკუდს" ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ მომავალ პარლამენტში იმაზე მეტი მანდატი მიიღოს ვიდრე ახლა აქვს (ამ მონვევის პარლამენტში 27 მანდატი აქვთ 120-დან).

თუმცა ისრაელის ისტორიის კარგად ახსოვს არაერთი წინასწარჩვენი კამპანია, რომელიც სიუზპრიზებით დასრულდებოდა.

უკვე ცნობილია, რომ წინასწარჩვენი კამპანიის დროს მოქმედი ხელისუფლება ყურადღებას სამ ძირითად მიმართულებაზე გაამახვილებს. პირველია - ირანის ბირთვული საფრთხის პრევენცია, მეორე - სამშვიდობო შეთანხმებების შენარჩუნება ეგვიპტესა და იორდანისთან, ასევე პალესტინელებთან სამშვიდობო პროცესის აღდგენა და ბოლო, მესამე - "საპასუხისმგებლო" ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. საერთაშორისო თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა პირველი საკითხი. არჩევნების იანვარში დანიშნება, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ისრაელი გაზაფხულამდე არ განახორციელებს პრევენციულ დარტყმას ირანის ბირთვულ ობიექტებზე და საერთაშორისო საზოგადოებას აქვს დრო პრობლემის დიპლომატიური გზით გადასაწყვეტად. საარჩევნო კამპანიაზე გარკვეულ გავლენას მოახდენს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიც.

კენსეტში სიტყვით გამოსვლისას ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ "ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ გა-

უძღვება სახელმწიფოს წინ უსერიოზულესი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როგორცაა არ შეუჯახებულა თბოლო 80 წლის განმავლობაში". პრემიერი პარლამენტში შეეხო ირანის თემას: "ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც აკნინებს ბირთვული ირანისგან ისრაელისთვის მომდინარე საფრთხეს, არ არის ღირსი, რომ ქვეყანას თუნდ ერთი დღე უხელმძღვანელოს..." "დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, მივიღოთ ზომები ირანისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ, რისი საშუალებებიც წარსულში არ გვქონდა". თუმცა ნეთანიაჰუს ამ საშუალებების თაობაზე დეტალურად პარლამენტში არ უსაუბრა.

როგორც მაიკლის წინასწარჩვენი კამპანია, ამაზე უსუსტი პასუხი არაავს აქვს. თუ ისტორიულ პარალელს გავხედავთ, წინასწარჩვენი პერიოდი სავსეა საფრთხეებით და, ამავდროულად, სრულიად არაპროგნოზირებადია. ნეთანიაჰუს მთავარი კონკურენტია "სოცი-ალ-დემოკრატიული შრომის პარტიის" (ავოდა) ლიდერი შელი შიმოვიჩი.

"ბი-ბი-სის" მიხედვით მოამზადა სალომე ჯანიაშვილი

ჭოჭოხეთური ფრენა

გიგა ბურასაშვილი

მსოფლიოში პირველი ზებგერითი პარაშუტისტი, ავსტრიელი ფელიქს ბაუმგარტნერი სტრატოსფეროდან ნახტომის შემდეგ თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. 39 კილომეტრი სიმაღლიდან ნახტომის შემდეგ ექსტრემალური დედამინაზე უგონო მდგომარეობით დანარცხების საფრთხის წინაშე იყო - 4 წუთსა და 20 წამზე განვლილი თავისუფალი ვარდნისას ბაუმგარტნერი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა.

43 წლის ფათერაკების მაძიებელი, ცნობილი როგორც "უშიშარი ფელიქსი", "ადრენალინის ნარკომანი", მხოლოდ ახლა აცნობიერებს, რომ სიკვდილს ჩახედა თვალგაშეშებით და უკონტროლო ბრუნვით, რომლის გამო იყო სამიშრობა, რომ თვალის გუგები გასკდომოდა და ტვინში სისხლის კაპილარები განყვეტოდა, წინასასტარტო პროგნოზებს გადააჭარბა.

"კაფსულიდან გამოსვლა აკრობატულად იდეალური იყო, - ბაუმგარტნერის სიტყვებს გვამცნობს Krone. - ჩავთვალე, რომ ვითარებას ვაკონტროლებდი, მაგრამ მერე დაიწყო პრობლემები. რამდენიმე წამი დარწმუნებული ვიყავი, რომ დედამინას უგონო მდგომარეობაში დავსკდებოდი. მაღლობა ღმერთს, რომ უმისამართო ბზრიალის შეჩერება შეეძლებოდა. ეს ყველაფერი საშინლად ძნელი იყო, ბევრად უფრო ძნელი, ვიდრე ვფიქრობდი.

ჯოჯოხეთი გამოვიარე. თვალწინ ყველაფერი ტრიალებდა. გაუგებარი იყო, შეეძლებოდა თუ არა ამ



მდგომარეობიდან გამოსვლას. წარმოიდგინეთ ცურვა წყალზე შეუხებლად. ყოველ ჯერზე, როდესაც ამოტრიალდები, თავიდან გინევს იმის გარკვევა, სად ხარ და რა უნდა გააკეთო. ბოლომდე ვიბრძოდი, რადგან ვიცოდი, უნდა დამდგარიყო ის წამი, როდესაც სასურველ მდგომარეობას დავიკავებდი და მე ეს შეეძლო.

სტრატოსფეროდან ნახტომით ავსტრიელმა ერთბაშად რამდენიმე რეკორდი დაამყარა - ყველაზე მაღალი ნახტომი და თავისუფალი ვარდნით გადალახული ზებგერითი სიჩქარე. თუმცა, ამ მხრივ განსაკუთრებული არაფერი უგრძნია: აკუსტიკური დარტყმა ვერ ვგრძენი. ვფიქრობ, ასეთი რამ თქვენს უკან ხდება".

ბაუმგარტნერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ჩვეული ორიენტირების გარეშე "ვერ აღიქვამთ იმას, თუ რამდენად სწრაფად მოგზაურობთ".

ახლა უკვე მრავალგზის რეკორდსმენი იმასაც ამბობს, რომ კვირას განხორციელებული ის ექსტრემალური ნახტომი ბოლო იქნება მის კარიერაში.

"ეს იყო ექსტრემალური სპორტიდან ჩემი ნასვლა, - Krone-სთან ინტერვიუში აცხადებს ავსტრიელი. - ამაზე მნიშვნელოვანს ველარაფერს ვაპირებ. ეს იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროექტი. მთელი ამ წლების შემდეგ თავს ბედნიერად უნდა ვთვლიდე, რომ ცოცხალი გადავრჩი. ენერჯიაც აღარ შემრჩა. მიხარია, რომ ეს გადარწმუნებდა მივიღე. ახლა აღარ მომიწევს დილაუთენია ადგომა და შემეძლება ის მივირთვა, რასაც მოვისურვებ".

...ახალი წლისთვის დაქორწინებას აპირებს მეგობარ გოგონაზე, ყოფილ მოდელზე, 26 წლის ნიკოლ ოეტლზე, რომელიც კვირას მომავალი მუშაობის ნახტომს ნიუ მექსიკოს უდაბნოდან ადევნებდა თვალყურს. დაქორწინებულები დასახლებიან შვეიცარიაში, სადაც ბაუმგარტნერი შვეულმფრენით ალპებში მამულად იმუშავებს. რეკორდსმენი ამბობს, რომ თავის თავგადასავლებსა და თავისუფალი ფრენით განცდილ მდგომარეობაზე დანერს წიგნს.

ყოფილი სამხედრო პარაშუტისტის ანგარიშზეა 2500-ზე მეტი ნახტომი შვეულმფრენიდან და თვითმფრინვიდან. არაერთხელ გადმოხტარა მსოფლიოს ცნობილი ცათამბჯენებიდან, ღირსშესანიშნავი ნაგებობებიდან, რომელთა დიდი ნაწილი არალეგალური იყო და ხშირად პოლიციისგან გაქცევაც უნებდა.

საქართველო სოჭი 2014-ის ზოიკოტირებას არ აპირებს

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველო სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ზოიკოტირებას არ აპირებს.

დღევანდელ პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა უარყო საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, კოალიცია "ქართული ოცნება" ამერიკული პროექტია, რომლის მიზანი 2014 წლის თამაშების ჩაშლა და ზოიკოტირებაა.



"საქართველომ მონაწილეობა უნდა მიიღოს ოლიმპიურ თამაშებში და, როგორც მეზობელმა, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ოლიმპიურმა თამაშებმა ჩაიაროს მშვიდობიანად და ექსცესების გარეშე", - ივანიშვილის სიტყვებს ახმოვანებს «ნოვოსტი გრუზია».

ბიძინა ივანიშვილის განცხადებას აქვეყნებს "ინტერფაქსი": "საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვაპირებთ,

რათა თამაშებმა ჩაიაროს მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე".

სოჭის ოლიმპიური თამაშების ზოიკოტირებაზე საუბრები ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე იყო, პეკინის ოლიმპიური თამაშების დროს კი ასეთი საუბრები უფრო ხშირად ისმოდა. მეტიც, საომარი მოქმედებების დაწყებისას საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში განიხილებოდა პროტესტის ნიშნად პეკინის თამაშების დატოვებაც.

პირველად საქართველოში

"ჰაიდელბერგცემენტი" ყველაზე მასშტაბური ნახევარმარათონისთვის ემზადება

ჰაიდელბერგცემენტი გრანდიოზული ღონისძიების ჩასატარებლად ემზადება. "თბილისიმარათონი" - ეს იქნება ყველაზე მასშტაბური ნახევარმარათონი თბილისში, რომელიც პირველად საქართველოში 28 ოქტომბერს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გაიმართება.

პროექტი, რომელიც ჰაიდელბერგცემენტის ეგიდითა და საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით ხორციელდება, ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ემსახურება. "თბილისიმარათონი" საქველმოქმედო ხასიათის იქნება, რომელიც ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად გაიმართება.

ნახევარმარათონში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ნებისმიერ მსურველს - მოყვარულსა თუ პროფესიონალს, მთლიანად თბილისის მოსახლეობას ეძლევა, რომელიც ვებ-გვერდზე www.tbilisi-marathon.ge დარეგისტრირდება.



ნახევარმარათონში მონაწილეობისთვის დაწესებულია საწევრო თანხა - 10 ლარი, რომლის საფუძველზეც თითოეული დარეგისტრირებული ადამიანი ქველმოქმედების მონაწილე ხდება - რეგისტრაციის დროს გადახდილი თანხა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება და

შერჩეული ბენეფიციარების დასახმარებლად შეგროვდება. მარათონში მონაწილეობენ, როგორც ჰაიდელბერგცემენტის, ასევე სხვა ბიზნესკომპანიის თანამშრომლები, საელჩოების წარმომადგენლები და სხვა უცხოელი სტუმრები. "ჰაიდელბერგცემენტი, როგორც სამშენებლო მასალების

მწარმოებელი, სოციალურ პროექტებს განსაკუთრებით იმ რეგიონებში ავითარებს, სადაც მისი საწარმოებია განთავსებული, შესაბამისად, "თბილისიმარათონის" საქველმოქმედო ფონდი რუსთავისა და კასპის რეგიონებისთვისაა განსაზღვრული. ბენეფიციარები, რომელსაც ამ ნახევარმარათონის ფარგლებში დავებმარებით ღონისძიებაზე დასახელება", - განმარტავს "ჰაიდელბერგცემენტის" მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის მენეჯერი ნინო სუბელიანი.

შეგახსენებთ, რომ ჰაიდელბერგცემენტსა და საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი წელს, 25 ივლისს გაფორმდა, რომლის მთავარ ამოცანას სწორედ ქვეყანაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა, კერძოდ სპორტული ღონისძიებების

მართონების, ნახევარმარათონებისა და გარბენების დამკვიდრება და ამ აქტივობებში საზოგადოების მასობრივი ჩართულობა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ "თბილისიმარათონი" ქველმოქმედებასთან ერთად სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

"ჰაიდელბერგცემენტი" სამშენებლო მასალების წარმოების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი კომპანიაა გლობალურ ბაზარზე და მსოფლიოს მასშტაბით ცემენტისა და ბეტონის მწარმოებელთა სამეულში შედის. კომპანიის კუთვნილ 2500 საწარმოში, რომლებიც მსოფლიო 40 ქვეყანაში არის განთავსებული, 53 000 თანამშრომელია დასაქმებული. საქართველოში ჰაიდელბერგცემენტი 2006 წლიდან მოღვაწეობს და 3 ცემენტისა და 3 ბეტონის ქარხანას მართავს.

21 წლამდელები დანიასთან დამარცხდნენ



გუშინ ბელარუს - საქართველოს მატჩის დაწყებამდე ორივე საათით ადრე, თბილისში "მიხეილ მესხზე" საქართველოს 21 წლამდელები ნაკრებმა, რომელსაც სათავეში ალექსანდრე ჩივაძე უდგას ამხანაგურ მატჩში დანიელ თანატოლებს უმასპინძლა.

დმა 2013 წლის შესარჩევი ციკლი მეტ-ნაკლები წარმატებით დაასრულა. საკმაოდ სუსტი სტარტის შემდეგ ქართველმა 21-წლამდელებმა ვითარება გამოსწორეს და ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება შეძლეს. ამის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძემ პრაქტიკულად ახალი გუნდის შექმნა დაიწყო, რომ-

ლის მიზანიც მომდევნო შესარჩევი ციკლში წარმატებული თამაში იქნება, დანიასთან ამხანაგური მატჩიც სწორედ მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ქართველმა ახალგაზრდებმა დანიელ თანატოლებს ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს. ანგარიში 39-ე წუთზე მიქა-

ელ აგერმა გახსნა, ხოლო 67-ე წუთზე, უფე ბეხმა მის მიერ გამოშვებული პენალტი გოლად აქცია. მატჩის მიწურულს, ქართველ და დანიელ ახალგაზრდებს შორის ინციდენტი მოხდა, რის შედეგად, მსაჯმა მასპინძელი ტვილდიანი და სტუმარი მადსენი მინდვრიდან გააძევა.

შენგელიას დებიუტი ისევ გადაიდო

"ბრუკლინ ნეტსმა" უკვე ორი საგამოფენო მატჩი გამართა, თუმცა, თორნიკე შენგელია მოედანზე არ გამოჩენილა. 21 წლის ქართველი ორივე მატჩის განაცხადში იყო, თუმცა, მწვრთნელს მისთვის შანსი არ მიუცია. ბრუკლინელები, როგორც ჩანს, სერიოზულად უდგებიან საკონტროლო მატჩებს და მათში გამარჯვება სურთ, რადგან ძირითადად სასტარტო მოთამაშეებს ეყრდნობიან.

ბრუკლინელებმა ორივე მატჩი მოიგეს. პირველად ფილადელფიაში დამატებით დროში გაიმარჯვეს (108:105), შემდეგ კი შინ "ვაშინგტონს" 98:88 სძლიეს. საინტერესოა, რა ქნეს ამ მატჩებში თორნიკე შენგელიას ბრუკლინელებმა კონკურენტებმა. ძირითადად ორივე ითამაშა გერალდ უოლესმა, რომელიც პირველი მატჩის (18 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება) საუკეთესო მოთამაშე გახდა, ხოლო "ვაშინგტონთან" 7 ქულას და 6 მოხსნას დასჯერდა.

ორივე მატჩში შეცვლაზე შევიდა შენგელიას კიდევ ერთი კონკურენტი მირზა ტელეტოვიჩი, რომელმაც თავისი სწრაფი (მისი კოზირი მხოლოდ კარგი სროლაა) თვისებები ვერ გამოავლინა. "ფილადელფიასთან" ბოსნიელმა 13-დან 2 სროლა ჩააგდო და 6 ქულას დასჯერდა, ხოლო "ვაშინგტონთან" ტელეტოვიჩმა 14 წუთში 3 ქულა მოაგროვა. მთლიანობაში ამ 2 შეხვედრაში ტელეტოვიჩმა 15-დან 3 სამქულიანი ჩააგდო.

"ლაციო" ჰუნტელაარით დაინტერესდა

რომის "ლაციო" "შალკეს" ჰოლანდიელი ფორვარდის კლას იან ჰუნტელაარის მიმართ იჩენს ინტერესს. ჰოლანდიელსა და გერმანულ კლუბს შორის არსებული კონტრაქტის ვადა 2013 წელს იწურება. ჰუნტელაარს "შალკესთან" ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია. ასე რომ, "ლაციომ" ფორვარდი, შესაძლოა, უფასოდ ჩაიგდოს ხელში.

ნანიმ "მილანთან" მოლაპარაკება დაადასტურა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 25 წლის ნახევარმცველის ნანის აგენტმა ჟორჟე მენდემ დაადასტურა, რომ ის "მილანთან" მართავს მოლაპარაკებას. აგენტი თავად გასულა "მილანის" ხელმძღვანელებზე და ნანის სამსახური შეუთავაზებია. ნანისა და "მანჩესტერის" მესვეურებს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაუფუჭდა.

კასანო 40 წლამდე აპირებს თამაშს

"ინტერის" 30 წლის ფორვარდი ანტონიო კასანო აცხადებს, რომ 40 წლამდე აპირებს ფეხბურთის თამაშს. "თუ ხაიერ ძანტემ შეძლო 40 წლამდე თამაში, მე რატომ ვერ უნდა შევძლო. კარიერის დასრულება კი "სამპდორიაში" მსურს", - აცხადებს კასანო.

ინიესკამ სუპერ ფეხბურთელი შექმნა

"ბარსელონას" ნახევარმცველმა ანდრეს ინიესკამ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომელთა დახმარებით ის სუპერ ფეხბურთელს შექმნიდა. "სუპერ ფეხბურთელი? რაღამე ფალკაო შესანიშნავად თამაშობს მე-2 სართულზე, პუიოლი გამორჩევა ლიდერის თვისებებით და მებრძოლი სულით, ჩავის აქვს გასაოცარი მარჯვენა, მესის - მარცხენა, სერხიო ბუსკეტის ტაქტიკურად ძალიან განსწავლული ფეხბურთელია, ხოლო კრიშტიანუ რონალდუს გოლის ფანტასტიკური ალღო აქვს. ეს თვისებები რომ გავერთიანოთ, სუპერ ფეხბურთელს მივიღებთ." - აცხადებს ანდრეს ინიესკამ.

გვარდიოლა ტრანსფერებს განიხილავს

პეპ გვარდიოლა კიდევ უფრო მიუახლოვდა "მილანს". თუ იტალიურ მედიას დაუჯერებთ, კატალონიელი სპეციალისტი სულ მალე დაინიშნება იტალიური გრანდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მეტიც, გვარდიოლა "მილანის" მესვეურებთან მომავალ სტრატეგიულ პოლიტიკას განიხილავს. CalcioNews-ის ინფორმაციით, გვარდიოლამ გალიანისთან უკვე შეთანხმდა იმ ფეხბურთელთა სია, რომელსაც "მილანი" იყიდის. ამ სიაში აღმოჩნდნენ "მალაგას" 20 წლის ნახევარმცველი ისკო, "სამპდორიას" 20 წლის ფეხბურთელი პედრო ობიანი, "მონპელიეს" მცველი მაპუ იანგამბივა და "მალაგას" 16 წლის ფორვარდი ფაბრის ოლიანგა, რომელსაც სპეციალისტები უკვე უწოდებენ მომავალ სამუელ ვეო-ს.

"სიტიმ" ბუსკეტს დაადგა თვალი

"მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა "ბარსელონას" ნახევარმცველს, სერხიო ბუსკეტს დაინტერესდა. ბრიტანელებმა ადრეც სცადეს ესპანელებთან საერთო ენის გამოხატვა, მაგრამ მაშინ საქმე ტრანსფერამდე არ მივიდა. "სიტის" სამწვრთნელო შტაბს მიაჩნია, რომ ბუსკეტის პოზიციაზე კლუბს ყველაზე მეტად უჭირს. ევროპული გამოცემები კი ვარაუდობენ, რომ მანჩესტერელებს ბუსკეტის გადაბირების შანსი არც ამჯერად აქვთ. "ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი ტიტო ვოლანოვა ნახევარმცველის გაშვებას არ აპირებს.

ქართველთა კაპიტულაცია მინსკში

პირველი გვარდიონა

მეტიც, ქეცბაიას მწვრთნელობის პერიოდში ეს გახლდათ ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მატჩი, თუ ყველაზე სუსტი არა.

გაცხადდა, თუ არა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა გამოჩნდა, რომ ქეცბაია ამჯერადაც მეორე ნომრად აპირებდა თამაშს. საქართველოს ნაკრების ასეთ ტაქტიკას ჩვენ უკვე შეჩვეულები ვართ და ალბათ, ბევრს არ გაკვირვებია, რომ ძირითად შემადგენლობაში ქეცბაიამ ნომინალური ცენტრალური თავდაცმისხელი საერთოდ არ დააყენა. ცხადია რთულია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა ქეცბაიას, მაგრამ დიდი ნოსტრადამუსობა არ არის იმისთვის საჭირო, რომ მიხვდეთ - საქართველოს ნაკრები მკაცრად აპირებდა დაცვაში თამაშს და კონტრატეკების იმედად უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ თარგამაძეს და ოქრიაშვილს ინდივიდუალური ოსტატობაც საკმაოდ აქვთ და სისწრაფეც კონტრატეკების განსახორციელებლად. თუმცა ჩვენი გუნდის გემები მატჩის დაწყებიდან ექვს წუთში აირია.

აგერ უკვე მეორე თამაშია საქართველოს ნაკრების კარში გოლები დაცვის უპატივებელი შეცდომების შემდეგ გადის. ფინეთთან მატჩში ხიზანიშვილი და რევიშვილი ერთდროულად შეცდნენ, ბელარუსთან თამაშის მეექვსე წუთზე კი ქართველთა კარში

გოლის გასასვლელად უკვე ხიზანიშვილის შეცდომაც საკმარისი აღმოჩნდა. გამოცდილება ქართველმა მცველმა საკუთარ საჯარიმოში დაკარგა ბურთი, რასაც გოლი მოჰყვა.

ამ გოლმა ჩვენი ბიჭები მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააგდო, თუმცა საქმის გამოსწორება, ალბათ მაინც შესაძლებელი იყო. სამწუხაროდ ერთ შეცდომას 22 წუთში მეორე მოჰყვა (ამჯერადაც ცენტრალური მცველები შეცდნენ) და რევიშვილის კარში მეორე გოლი გავიდა.

ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრებმა ბელარუსებს ორი გოლი აჩუქა. ამის შემდეგ თამაშის გადარჩენა უკვე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს შეტევაში თამაში საერთოდ არ გამოსდიოდა. თითქოს ორი ბურთის გაშვებას ქართველი ფეხბურთელების გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ჩვენ ბიჭებს შემტევი კომბინაციური ფეხბურთი ამ საღამოს საერთოდ დაავიწყდათ. პირველი ტაიმის ბოლო სამმა წუთმა ოდნავი იმედი ჩავვისახა, თუმცა ამ შემთხვევაშიც საუბარია ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალურ ოსტატობაზე და არა გააზრებულ, კომბინაციურ, შემტევი ფეხბურთზე. ოქრიაშვილს სულ ცოტა დააკლდა და თბილისურ გემრობას გაიმეორებდა. თორნიკემ პრაქტიკულად მთელი ბელარუსის ნაკრები მოაატყუა, თუმცა ბოლო მომენტში დარტყმა არ გამოუვიდა. შემდეგ

იყო თარგამაძის მიერ შესრულებული ორი სტანდარტი. ჯერ იყო და დათომ კუთხურიდან ჩაახვია პირდაპირ კარში და ბელარუსები მეკარემ იხსნა, შემდეგ თარგამაძემ ჯარიმაც ოსტატურად შეასრულა და კვლავ ბელარუსთა მეკარემ ითამაშა კარგად.

ამ მცირე აფეთქების შემდეგ იმედი გაჩნდა, რომ მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები შემტევი თამაშს დააღაგებდა. ქეცბაიამ ცვლილებებზე განახორციელა და მინდორზე მჭედლიძე, ყენია და ანანიძე შეიყვანა, თუმცა ქართველთა სათამაშო სურათი არ შეცვლილა. დიას, შემტევი ფეხბურთის თამაშის მცდელობა იყო, მაგრამ ამისგან პრაქტიკულად არაფერი გამოსულა. მეტიც გოლის გატანასთან ბელარუსები გაცილებით ახლოს იყვნენ, ვიდრე საქართველოს ნაკრები. მესამე გოლისგან ჩვენი გუნდი ერ-

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

16 ოქტომბერი. მინსკი. სტადიონი "დინამო".

ბელარუსი - საქართველო 2:0
გოლები: 1:0 ბრესანი (6), 2:0 დრაგუნი (28)
ბელარუსი: ვერემკო, დრაგუნი, გლევი, ბრესანი (ვოლოდკო 85), პავლოვი (კისლიაკი 83), პოლიაკოვი, ტიგორევი, ვერხოვცევი, ბორდაჩოვი, როდიონოვი (ჩუხლი 90), ფილიპენკო.
მთავარი მწვრთნელი: გეორგი კონდრატიევი
საქართველო: რევიშვილი, დევიდარიანი (მჭედლიძე 46), გრიგალავა, კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი, თარგამაძე (ყენია 75), ოქრიაშვილი (ანანიძე 49), კობახიძე.
მთავარი მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
მთავარი მსაჯი: რობერტ შიორგენშოფერი

KIA Sportage



iPhone 4



iPad 3G



MacBook Pro

MOBILE BANKING INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად



თიბისი ბანკი
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📞 * 27 27

www.tbconline.ge www.tbcmobile.ge